სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს

გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტს

შპს „იქსენერჯი გრუპ"-ს, სამტრედიის მუნიციპალიტეტში, სოფ. იანეთის ტერიტორიაზე, იჯარით აღებულ არასასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი 34.07.47.209) დამონტაჟებული აქვს ასფალტის მობილური ქარხანა. დაგეგმილი აქვს ქარხნის ექსპლუატაცია და წელიწადში 96 000 ტ. ასფალტნარევის გამოშვება.

კომპანიამ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-8 მუხლის შესაბამისად გაიარა სკოპინგის პროცედურა და მიღებული აქვს 22/02/2022 წ. N7 სკოპინგის დასკვნა.
სკოპინგის დასკვნის მე-4, მე-5 თავის, შენიშვნებისა და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-10 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად, საკონსულტაციო კომპანია შპს „სამნი"-ს მიერ მომზადებული იქნა გარემოზე ზემოქმედების ანგარიში, რომელიც 2022 წლის 25 აგვისტოს წარდგენილი იქნა სააგენტოში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით.
სააგენტოს 16/09/2022 წლის N 21/5339 წერილით შეწყდა ადმინისტრაციული საქმის წარმოება, ცალკეული საკითხების დაზუსტებისა და დამატებითი ინფორმაციის წარმოდგენის გამო. ზემოაღნიშნული წერილით წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინებით მოხდა გზშ-ს ანგარიშის დაზუსტება.
დამატებით გაცნობებთ, რომ რადგან გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღებამდე ასფალტის საწარმო უკვე მოწყობილია, გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის დასავლეთის რეგიონული სამმართველოს მიერ კომპანიის მიმართ დაწყებულია ადმინისტრაციული საქმის წარმოება (შედგენილია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმი N073116, 20.09.2022წ. ადმინიატრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 79[7] მუხლის 1-ნაწილით).

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით, წარმოგიდგენთ, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს და გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-11 მუხლით გათვალისწინებულ დოკუმენტაციას.

გთხოვთ, განიხილოთ და გასცეთ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება.

დანართი: გზშ-ს ანგარიში 1 ეგზემპლარი და ელ. ვერსია;
არატექნიკური რეზიუმე - 1 ეგზემპლარი და ელ. ვერსია;
ზდგ-ს ნორმების პროექტი - 2 ეგზემპლარი და ელ. ვერსია;
ზ.დ.ჩ-ის ნორმების პროექტი -2 ეგზემპლარი და ელ. ვერსია;
ნარჩენების მართვის გეგმა - 1 ეგზემოლარი და ელ. ვერსია:
საჯარო რეესტრის ამონაწერი;
Shp - ფაილები;
ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
სანებართვო მოსაკრებლის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი;
პასუხები სააგენტოს 16/09/2022 N21/5339 წერილით გამოგზავნილ შენიშვნებზე;
მოსახლეობასთან სეხვედრის ამსახველი ინფორმაცია;

პატივისცემით,
გიორგი ახობაძე
დირექტორი

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
-20- 10 2022 წ.
№ 5952